

ფაქტობრივი
გარემოებები

შპს „X“-ს 2017 წლის მანძილზე, მის მიერ წარმოებული ლუდის პოპულარიზაციის მიზნით, გაწეული აქვს რეკლამის ხარჯი, საქონლის ანაზღაურების გარეშე გავრცელების გზით. კერძოდ, გადასახადის გადამხდელს აგვისტოს თვეში დარიგებული აქვს 20 000 ლარის ღირებულების საკუთარი წარმოების ლუდი.

სარეკლამო ხარჯის მტკიცებულებად გადასახადის გადამხდელს გააჩნია დოკუმენტაცია (მერიის წერილი), რომელიც ადასტურებს, რომ 2017 წლის აგვისტოს თვეში თბილისში ჩატარდა ლუდის ფესტივალი.

ასევე გადასახადის გადამხდელს შექმნილი აქვს სატელევიზიო რგოლი, რომელიც ფესტივალის ჩატარებამდე ტელევიზიის ეთერით სარეკლამო წყვეტების დროს გადაიცემოდა იმის შესახებ, რომ შპს X აგვისტოს თვეში ლუდის ფესტივალზე უსასყიდლოდ გასცემდა 20 000 ლიტრ (20 000 ლარის ღირებულების) ლუდს.

გადასახადის გადამხდელს მოგების გადასახადში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

შეფასება

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა.

ამავე კოდექსის 98³ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, უსასყიდლოდ მიწოდებად ითვლება.“.

იმის გათვალისწინებით, რომ გადასახადის გადამხდელის მიერ სარეკლამო აქციის მიზანს წარმოადგენს შემდგომში მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც გააჩნია, იგი არ მიიჩნევა უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებად.

შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს.

ამდენად, გადასახადის გადამხდელის ქმედება მართლზომერია.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება არ ხდება.

- სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით
- სიტუაციური სახელმძღვანელოთი გათვალისწინებული მტკიცებულებები პირობითია

ანოტაცია
„რეკლამის მიზნით პროდუქციის ანაზღაურების გარეშე გავრცელება“ №2609
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს რეკლამის მიზნით პროდუქციის ანაზღაურების გარეშე გავრცელების მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“-ს 2017 წლის მანძილზე, მის მიერ წარმოებული ლუდის პოპულარიზაციის მიზნით, გაწეული აქვს რეკლამის ხარჯი, საქონლის ანაზღაურების გარეშე გავრცელების გზით. კერძოდ, გადასახადის გადამხდელს აგვისტოს თვეში დარიგებული აქვს 20 000 ლარის ღირებულების საკუთარი წარმოების ლუდი. სარეკლამო ხარჯის მტკიცებულებად გადასახადის გადამხდელს გააჩნია დოკუმენტაცია (მერიის წერილი), რომელიც ადასტურებს, რომ 2017 წლის აგვისტოს თვეში თბილისში ჩატარდა ლუდის ფესტივალი. ასევე გადასახადის გადამხდელს შექმნილი აქვს სატელევიზიო რგოლი, რომელიც ფესტივალის ჩატარებამდე ტელევიზიის ეთერით სარეკლამო წყვეტების დროს გადაიცემოდა იმის შესახებ, რომ შპს X აგვისტოს თვეში ლუდის ფესტივალზე უსასყიდლოდ გასცემდა 20 000 ლიტრ (20 000 ლარის ღირებულების) ლუდს.

გადასახადის გადამხდელს მოგების გადასახადში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

იმის გათვალისწინებით, რომ გადასახადის გადამხდელის მიერ სარეკლამო აქციის მიზანს წარმოადგენს შემდგომში მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებებიც გააჩნია, იგი არ მიიჩნევა უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებად. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს.

ამდენად, გადასახადის გადამხდელის ქმედება მართლზომეურია.